საქართველო

ერ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 22 ღვინობისთვე 1919 წ. № 228

ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (ხოლ. ადგ. ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა, ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

დედა ბარბარე იოსების ასული კონიაშვილისა, დები, ძმები და რძლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ღამის 20 ოქტომბერს გარდაიცვალა განგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ

თამარა გრიგოლ კონიაშვილის ასული

პანაშვიდი იქნება საღამოს 21 ოქტომბერს 7 საათზე, გაძღვანება ოთხშაბათს, 22 ოქტ. დილ. 10 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში განსვენებულის ბინიდან (ვარდისუბნის ქ., № 3). დაკრძალვა კოკის მართლმადიდებლის სასაფლაოზე. 2619 2—1

შვილები: მიხეილ, ანდრია, ვლადიმერ, ვერა და ნიკოლოზ კავსაძენი რძლებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 ღვინობისთვეს ს. ხოვლეში გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ

მღვდელი ლონგინოზ კავსაძე

დაკრძალვა მოხდება სოფ. ხოვლეში 23 ოქტომბერს. 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფი ქვრივი ოლგა დავითის ასული შვილები: შუშანიკა (ვოგუა) ნინო, დავით, კონსტანტინე და სალომე, სიდიდრი კისარია თომას ასული წერეთლისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე ტკბილი მამა და მეგობარი და საყვარელი სიძე

ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ქავთარაძე

გამოსვენება მოხდება სოფ. ივანწმიდაში. დაკრძალვა ივანე ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანში 22 ღვინობისთვეს (ოთხშაბათს)

პლეხანოვის ქუჩა, 91 სახ. უნივერსიტ. გვერდით

ანონსი: ოთხშაბათიდან, 22 ღვინობისთვიდან მიხაილ კარ „ალკრეში“ დაიდგმის გრანდიოზული მსოფლიო სურათი 2 სერიათ, 12 ნაწილად, პროლოგით და ეპილოგით ამერიკის სახელგ. ტრანს—ატლანტიკის ტრესტისა

ჟანნა დ'არკ

(ორლეანელი ქალწული)

ჟანნას დ'არკის როლში ნიუ იორკის თეატრ „მეტროპოლიტენ“-ის პრიმადონა

ჯერალდინა ფარრარ

ახლანდელი ახალი ამერიკული სურათი **არ უნდა შეშალოთ** იტალ. სურ. „ორლეანელ ქალწულთან“ ორ სერიად, რომელიც 9 წლის წინად გამოვიდა და გაიარა თბილისის თეატრებში.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, 22 ღვინობისთვეს

აბესალომ და ეთერი

წევრთა საყურადღებოთ!

კოოპერატივ „დახმარეგამ“ მიიღო მთიულეთის საუკეთესო

ერგო

იყიდება კოოპერატივის ორივე მაღაზიაში.

კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. კუთხე.

22, 23, 24, 25 ღვინობისთვეს, ჩვენ ეკრანზე

გ. ბინგის რომანით

მიხაელ

(ფრთები)

მხატვრულ სალონის დრამა 5 ნაწილად მთავარ როლში

ლილი გეკ

გამოცემა კინო ატელიე „**ნორდისკის.**“

სეანსის დასაწყისი: 5 ნახ. საღამოზე.

ქართულ ლატარიის გამგეობა

ამით აუწყებს თვის პროვინციის კომიტეტების და ყველა აგენტების საყურადღებოდ, რომ კინც **ღვინობისთვის 25-მდე** არ წარმოადგენს გაყიდე ბილეთებს, შემდეგ კანტორა ბილეთებს არ მიიღებს და კომიტეტებს თუ აგენტებს მოსთხოვენ წარმოუდგენელ ბილეთების ფასს.

ლატარიის გათამაშება მოხდება **4 დეკემბერისთვის**, სახელმწიფო თეატრში.

კანტორა (სასახლის ქ. № 5 ტელ. 7—16) ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 209 4—1

1 ხარისხ. კაფე-პარიზი 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრების ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: **საუზმე, სადილები, ვახშმები.**

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

სადილები პურით 2 თეთრი 15 მან.
„ „ 3 „ 20 „

ყოველ დღე მზადდება **აზიური საჭმელები** საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის

პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდებოდ სტუმრებს.

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით **ვარ. გვათუა.**

ტექნო-ქიმიური ლაბორატორია „ალფა“

ამით აუწყებს თავის კლიენტებს, რომ ფეხსაცმელების „მაზის“ წარმოების უფლებები გადაეცა კოოპერატივ „**დახმარებას**“ სთხოვს მაზის მსურველთ მაზის შესაძენად ამიერიდან მიმართონ კოოპერატივ „**დახმარებას**“ თავისუფლების მოედანზე თამამშვილის სახლში.

გამგეობა „ალფა“. 207 10—6

სასადილო „ტაშირის“ სასადილო

(შესხმა—ხოტბა)

„ეკონომია“ — სასადილოსა
დღეს დაეუფლა ძველი **ტაშირი**
ამერ იმერთა ევროპის სტერმ
აქ ერთმანეთში შეჭარა კავშირი.

ტაშის, ზეიმის სასადილოა
ახლად გახსნილი ჩვენი „**ტაშირი**“
წრის და წოდების ყველა ბელადთა
აქ იმართება ღრეობა ხშირი.

პუშკინისეულ ბაღის პირდაპირ
ღამით და დღისით ბრწყინავს „**ტაშირი**“
და რა ნება აქვს ყოველ ქართველსა
ამ ძველ „**ტაშირში**“ „**დასწვას ნახშირი**“

მე როგორც მუდმივ მილიარულე
ვურჩევ დახედოთ ძველებურ „**ტაშირს**“
და გეფიცებით მაშინვე შესწყვეტთ
სხვა რესტორანთა ყოფნას და კავშირს.

212—4—2 **სტუმარი**

უღრანოგის ნიმუშები.

ვერ ვხერხებთ თავის დაცვას; შურაცმყოფელ და მტრულ ლონისძიებებს, რომელსაც ქართველებისა და საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ხმარობენ, სათანადო პასუხს ვერ ვაძლევთ. გვაკლია მოვლენის პოლიტიკური დაფასება და რაც ამაზედ უფრო სამწუხაროა, მოგვიდუნდა ნაციონალური ღირსების ნერვი. ამ ორი ნაკლის გამო, ვერ ვერკვევით მოვლენებში და მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკას მიმღინარეობა ბრმად მინდობილია გარემოებათა თამაშს. არ სჩანს ჩვენი ნაციონალური სუბიექტის გარკვეული ნების ყოფა და ხასიათი. ვისაც უნდა, თავში ჩაგვცხებს, ვისაც სურს, შეურაცგყოფს,—პასუხის მომთხოვი და დამცველი არავინ გამოგვიჩნდება. ყველაფერს ვიტანთ, ვითა უმწეონი და უპატრონონი. შეიძლება იმ ბანაკში, სადაც ნაციონალური ღირსება არასოდეს მოწონებაში არ ყოფილა, სადაც, პირიქით, იგი მუდამ იყო მწარე ირონიის საგანი, ფიქრობენ რომ ამ გზით ჩვენი პოლიტიკის საერთო ჯამ პრაქტიკული გამორჩენა ექნებოს, რომ დამკიდებლის თვალდაბლად ატანა ქვეყნისთვის უფრო მოსაგები იყოს, ვიდრე განყენებული ეროვნული ღირსების გამოქომაგება. როგორც პატარა ეს, შეიძლება იძულება გვ დგეს ასეთი მსხვერპლის გაღების და ცხელ გრძნობაზედ ცივი ანგარიშისა და პოლიტიკური ანგარების გამეფება გვქართებდეს...

სამწუხარო ისაა, რომ ეს ასე არ არის. თავის დღეში, მოწონებაში არ ყოფილა და არც არვის დაუზოგავს ერი, დიდი თუ პატარა—სულ ერთია, რომელსაც ვერ გამოუჩენია ნაციონალური ღირსების ღონე. ეთვისება და ყველა აქედან გამომდინარე მოქმედება და ხასიათი. არც ჩვენ დაგვინდობს ბ ნ დენიკინი ხხოლოდ იმისთვის, რომ მოსურად ვიტანთ ყველა ამ დევნა-შევიწროებას და შეურაცხყოფას, რომელსაც იგი აყენებს მის საბატონო ტერიტორიაზედ მოყოლილ ქართველობას და საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლებსა. ჩვენ ვიცით, რომ დენიკინის ჯარში იძულებით მიჰყავთ ქართველები, და ჩვენ არ გვინახავს არც ერთი პროტესტი, რომელიც ჩვენს მთავრობის გამოექვეყნებინოს ამის თაობაზე. ჩვენ ვიცით შემთხვევები, დენიკინის სამფლობელოს ჩრდილო კავკასიაში, მშვიდობიანობის ზონაში, მშვიდობიანობის დროს, ქართველი ოჯახების განადგურებისა და გვინახავს იქიდან გამოქცეული ეკონომიურად დავსებული პირები, ჩვენს მთავრობას რომ შეეჩიოდნენ და დახმარებას სთხოვდნენ, მაგრამ არ გაგვიგონია არც ერთი დემარში და არ გვინახავს, არც ერთი პროტესტი. ჩვენს მთავრობას რომ გაეკეთებინოს ამის თაობაზე. დაბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ დენიკინის აგენტებმა კინწის კვრით გამოდევნეს ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენლები, თუ კონსულები ყველა იმ ქალაქიდან, რომელიც „დობროარმიამ“ დაიპყრა. ოდესიდან, ნოვოროსიისკიდან პირდაპირ იფრინეს ჩვენი წარმომადგენლები და მათთან ერთად წინ დაითხოვეს დანარჩენი ქართველობაც. გამოდევნილი წარმომადგენლები ჩვენს მთავრობას აქ ჩამოუვიდნენ, მაგრამ არ გვსმენია, ჩვენს მთავრობას რაიმე ნაბიჯი გადადგა ამ დ. პროტესტი გამოეცხადებინოს. მთავრობა ვერ იცავს თავის მოქალაქეთ და თავის წარმომადგენლებს იმ საშუალებებიანაც კი, რომელიც ხელი აქვს. გარდა საერთაშორისო წესისა—პროტესტ-ნოტების გაგზავნისა მთავრობა ვალდებულია ერთბაშად გასწყვიტოს ყოველგვარი ურთიერთობა დენიკინის ოფიციალ წარმომადგენლებთან, რომელნიც საქართველოში არიან და დაუყონებლივ დაცლევნოს საქართველოს ტერიტორია. ასევე უნდა მოეკურნოს დენიკინის სხვა ქვეშევრდომთაც

თუ მოლაპარაკება და ურთიერთობა ჩვენს შორის, მაშინ ჩვენი წარმომადგენლებიც და ჩვენ მოქალაქენიც მიღებულნი და ხელუხლებელნი უნდა იყვნენ. დენიკინის სამფლობელოში სწორედ ისე, როგორც დენიკინის წარმომადგენლები და მისი ქვეშევრდომები არიან საქართველოში მიღებული და ხელუხლებელნი. თუ ეს მოლაპარაკება და ურთიერთობა არ არის, რად უნდა ვითმინოთ ჩვენი სახელმწიფოს ღირების შეურაცყოფა და ჩვენი მოქალაქეების დევნა-შევიწროება დენიკინის აგენტების მიერ, რატომ სამაგიერო არ უნდა მიუზღოთ და რად უნდა ვაყოლოთ აქ დენიკინის წარმომადგენლები? ყველგან, დედა-მიწის ზურგზე, ოფიციალ წარმომადგენლების გამოდევნას, ოფიციალ წარმომადგენლების განდევნითვე უპასუხებენ. ასეთია საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკა და ეთიკა, რაიც დამყარებულია სახელმწიფოს პრესტიჟსა და ეროვნული ღირსების დაცვის მორალზე. ჩვენს მთავრობას არ აქვს ამ მორალის შეთვისება და იგი, გარდა ამისა, რომ საერთაშორისო სიტყვა-პასუხისა და ურთიერთობის ანბანის უცოდინრობას რომ იჩენს, სახელს უზრახავს ქართველი ერის ტრადიციულ, ნაციონალურ ღირსებას. ჩვენ გვგონია, რომ ქართველი საზოგადოებრივი აზრის ნამდვილი გამოხატველნი ვიქნებით, თუ მთავრობას მივსთხოვთ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელებისა და მოქალაქეთა ენერგიულ დაცვას და დენიკინის წარმომადგენლებისა და მის აშკარა აგენტების საქართველოდან გასტუმრებას. ამის შემდეგ ჩვენ დავუცდით მთავრობის განმარტებას და მოქმედებას.

საქართველოს დელეგაცია იტალიაში

(იტალიის მისსიის რადიო ცნობა)

19 ღვინობისთვე

რომი. საქართველოს დელეგაცია მიიღო გრაფ სფორცმა, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, მინისტრ ტიტტონის გამგზავრების გამო.

ქრონიკა

სტუდენტთა სასადილოს ქონება. ქალაქის გამგეობამ ყოფილ კაფე—„ყარა ლიდოს“ პატრონს აკიფ-ბეიბეკირ ზადეს-მთელი კაფეს ქონება, ჩამოართვა ქალაქის ვალში და სტუდენტთა სასადილოს გამგეობას გადასცა დროებით სასარგებლოდ.

3 ბარნოვის იუბილე დღეს საღამოს 7 საათზე „ანონაში“ დანიშნულია მწერალთა კავშირის სხდომა, რომლის საგანია 1) ბარნოვის იუბილეს მოწყობის საკითხი და 2) სხ. და სხ. საკითხები.

სომხეთის ფინანსთა მინისტრი ჰასკელის მოადგილენთან. სომხეთის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა, თბილისში ყოფნის დროს ინახულა პოლკ. ჰასკელის მოადგილე და ქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი ფინანსიურ საკითხების შესახებ. ზოგიერთ საყურადღებო კითხვების ადგილობრივად გასაცნობად ამერიკის დელეგაციამ ერევნიში გაგზავნა რამოდენიმე წარმომადგენელი.

ამერიკულ ფოლადის ნაწარმოებთა კატალოგი. თბილისში მყოფი ამერიკის მისია იუწყება, რომ მან მიიღო ახალი კატალოგი, ამერიკულ ფოლადის ნაწარმოებთა და საალმშენებლო მასალებისა. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მისიის—კანცელარიას.

საბჭოთა ქრონიკა

რესტორანი „ანონა“ 20 ოქტომბერს მწერალთა „კავშირის საბჭომ რესტორანი „ანონა“ გადასცა იჯარით ილია მაჩაბელს. ი. მაჩაბელს პეტერბურგში ჰქონდა თეატრი „ბალაგანი“. და ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ კიევში გადაიტანა. „ანონას“ კედლების დახატვას შეუდგენ კიდეც მხატვრები: ს. სუდეიკინი, ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე. თანახმად დადებულ ხელ-შეკრულებისა კლუბი მზად იქნება ერთი თვის ვადაში.

„მწერალთა კავშირის კრება“. დღეს საღამოს 7 საათზე რესტორან „ანონა“-ში გაიმართება მორიგი კრება მწერალთა კავშირის საბჭოსი. განსახილველია საკითხი სამხატვრო კლუბის საბჭოს არჩევის და აგრეთვე ტიციან ტაბიძის მოხსენება „მწერალთა დღის“ მოწყობის შესახებ.

ჟურნალი „ხელოვნება“ ქ. ქუთაისში გამოვა ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“-ს მეორე ნომერი „ხელოვნება“-ს სახელწოდებით.

ჟურნალი იბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე, დასურათებულია შიგ მოთავსებული იქნება ვ. გაფრიხდაშვილის დ. კლდიაშვილის, პროფ. ი. ყიფშიძის ი. გრიშაშვილის, და სხვა მწერალთა ნაწარმოებნი.

გათუმის პორტში

17 ღვინობისთვეს ბათომში მოვიდა რუს. საზ. მატორიანი ნავი „ათონი,“ ოსმალთა ფელუგა: „დუდა ვერდი“, „ბულ-ბულ“ ი, „ასტუნი“, „შაინ ბახრი“ და სხ.

ამავე დღეს ბათომიდან გავიდა ქართველთა მატორიანი ნავი „ესტონია,“ აგრეთვე ნოვოროსისკისაკენ წავიდა გემი „ვლადიმერი“ სხვა და სხვა საქონლით დატვირთული.

ბათომში მოვიდა მატორიანი ნავი „წმ. ევგენი“, რომელმაც კერჩიდან მოიტანა 2000 ფ. ფქვილი.

16 ღვინობისთვეს. ბათომში მოვიდა ქართველთა მატორიანი ნავი „ესტონია“, რუს. საზოგ. გემი „ვლადიმირი“ და ოსმალთა ფელუგა: „ასლანი,“ „ეფიდია“ „ბერექეთი“ და „აუროდიტა“.

ამ დღეებში ბათომში მოვიდა იტალიელთა გემი „ფერდინანდი“ რომელმაც მოიტანა 300 კილო შეკერილი ტანისამოსი, 430 კ. სხვა და სხვა საოჯახო საქონელი, 1700 კ. პოლკა, 530 კილო სხვა და სხვა ქსოვილები, 1000 კილო რეზინის საქონელი, 1000 კილო ჩულქი. 700 კილო საცვალი, 50000 კილო ფართალი, 40000 კილო შაქარი, 3000 კილო ყავა, 1500 კილო ჩაი, 3000 კილო გაზეთის ქაღალდი, 1500 კილო კალოში და სხ.

გემ „მარის“ გაძარცვა

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოეხსენებათ, 15 ღვინობისთვეს ქ. სოხუმის ახლოს ბორტგამზრახველთ გაძარცვეს რუს. საზოგადოების გემი „მარია“ და გაიტაცეს 25 მილიონი მანეთი. მეკობართა აღმოსაჩენად საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში მიღებულ იქნა შეატყობინება ზომები. როგორც დანამდვილებით გავიგეთ 17 ღვინობისთვეს სუფსის ახლოს სოფელ კვარცხანში რკინის გზის გვარდიელებმა ადგილობრივ ჯარისკაცთა და ჯავშნიან მატარებლის № 1-ს გვარდიელთა დახმარებით ბორტგამძმედნი 21 კაცი უკვე შეიპყრეს. მათვე აღმოუჩენიათ გატაცებული ფული და სხვა და სხვა იარაღ ბი. დატუსაღებულნი გაძლიერებულ მცველთა თანხლებით გაგზავნეს ქ. იზურგეთში. დატუსაღებულთა

უკანასკნელი ცნობები

გერმანიისა და ნეიტრალ ქვეყნებისთვის გაგზავნილ მოკავშირეთა ნოტამ საბჭოთა რუსეთის ბლოკადის შესახებ არაჩვეულებრივი პროტესტი გამოიწვია საფრანგეთის სოციალისტების და ინგლისის მუშათა პარტიის მხრივ.

20 ივნისობისთვეს ბოლშევიკები შევიდნენ ორიოლში.

იუდენიჩის არმია პეტროგრადთან ახლოა.

წითელ არმიამ მდ. ნევის ჩრდილოეთით დაიხია.

შორის არიან: გუჯაბიძე, მანწყავა, მარშანიშვილი, კაჩახიძე და სხვა

მგზავრთა და კაპიტნის სიტყვებით გემის გაძარცვა ასე მომხდარა: 15 ივნისობისთვეს ღამით, გემი გამოსცდა რუსეთის უკანასკნელ პორტს ადლერს და ჩაუარა საქართველოს ნაპირებს დილის 3 საათზე, როცა გემი ფოთის ჩრდილოეთით იმყოფებოდა მოისმა საშინელი სროლა გემისკენ მიმართული. კაპიტნის კაიუტაზე შეხტა რამდენიმე შეიარაღებული კაცი რევოლვერებით და კარები დაუკაკუნეს, როცა კაპიტანი კარში გამოვიდა მეკობრეებმა სტვენეს ხელი და დარაჯის ქვეშ დააყენეს ბოგირზე. ამ დროს ბაქანზე დაიწყო გაძლიერებული ძარცვა.

როცა გემი მოადგა ფოთს მეკობრეებს მღელვარება დაეტყოთ, მათ მოეჩვენაო, რომ ნაპირზე რაღაც მოძრაობა იყო.

საერთოდ გზაზე ძალიან ღელავდენ, თრთოდნენ თვითეულ ნავის დანახვაზე, კაპიტანს ართმევდნენ ჭოგრიტს და სინჯავდნენ არემარეს, ეკითხებოდნენ გამვლელ ხომალდებზე არიან თუ არა იგინი ნაღმოსნები და რამდენჯერმე შეაცვლევინეს გემს გზა, რათა ნაპირს დაჭშორებოდა.

ძარცვის შემდეგ მეკობრეებმა გამართეს ვახშამი, სვეს შამპანიური და შემდეგ ნაპირზე გადმოსასვლელად მოემზადნენ.

გემი ამ დროს დაუახლოვდა „წმ. ნიკოლოზის“ ნავთსადგურს (ფოთის სამხრეთით). მეკობრეებმა წაიყვანეს მძევლად კაპიტანის თანაშემწე, ჩასხდნენ ორ ნავში, გასცდნენ ნაპირს, დასტოვეს კაპიტნის თანაშემწე და ხშირ ტყეში მიიმალნენ. ქართულ სადარაჯო რაზმმა მათ სროლა აუტეხა, მაგრამ ვერაფერი ვერ აკნო.

გემი განაგრძობდა გზას ბათუმისაკენ. მეკობრებს გაუჩხრიკავთ არ დაუტოვებიათ ფოსტა, მაგრამ რადგან ფული ვერ დახვდათ, ფოსტა აქეთ-იქით მიეფანტათ.

გატაცებული ფული უდრის 25 მილიონ მანეთს.

როგორც გადმოგვცემენ, მეკობრენი ურევიან ამაზე ადრე მომხდარ ბათომის რკინის გზის კატასტროფაში.

გაძარცულმა გემმა ბათომში მგზავრები მოიყვანა. გემზე ადგილობრივ მთავრობის მიერ დაატუსაღეს 30 ქართველი, ვითომდა მათ რაიმე კავშირი ჰქონდათ გაძარცვასთან, ნამდვილად კი ისინიც გაძარცული იქმნენ მეკობრეთაგან. საქართველოს ელჩმა ბ ნმა ჩიჯანაშვილმა უდანაშაულო ქართველები უკვე გაანთავისუფლა.

სომხეთი

პოლკ. ზინკევიჩი სომხეთში.

13 ივნისობისთვეს ერევანში ჩავიდა მოხალისეთა არმიის წარმომადგენელი პოლკ. ზინკევიჩი, რომელსაც დიდი პატივით შეხვდნენ. პოლკ. ზინკევიჩს შეეგებნენ რესპუბლიკის მთავრობის წევრები პრემიერის მეთაურობით, გენერალიტეტი, რუსულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქის თავი და მრავალ რიცხოვანი საზოგადოება. მთავრობის სახელით სტუმარს მიესალმა მინისტრთ-თავმჯდომარე �ატისოვი, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ — რუსული ლიტერატურა, მუსიკა, ხელოვნება და სხ. მუდამ ახლო იყო სომეის ერთან, რომელიც ასი წლის განმავლობაში იარდებოდა მისი კულტურით. ეს კულტურული კავშირი აიძულებს სომხეთს დააფასოს დემოკრატიული რუსეთი და ნახოს ძლიერი და თავისუფალი.

ამასთანავე სომხეთი იმედოვნებს, რომ რუსეთის ერი, მარად კეთილმოსურნე სომხეთის ხალხისა, თანაგრძნობით მოეკიდება დამოუკიდებელ და გაერთიანებულ სომხეთს.

თავის საპასუხო სიტყვაში პოლკ. ზინკევიჩმა აღნიშნა ძველი სიმპატია რუსეთისა სომხეთისადმი და დაუმატა რომ მას როგორც მოხალისეთა არმიის წარმომადგენელს, დაკალებული აქვს, დახმარება გაუწიოს სომხეთის მთავრობას

ო. უორდროპის ჩასვლა.

15 ივნისობისთვეს თბილისიდან ერევანში ჩავიდა ინგლისის მთავრობის უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში მისტერ ო. უორდროპი, რომელსაც გამოჩენებით შეეგებნენ. მისალმა რა უმაღლეს სტუმარს ა. ხატისოვმა გამოსთქვა იმედი, რომ ინგლისი, რომელსაც სომხეთმა როგორც თავის მოკავშირეს მისცა ყველა თავისი ძალები, დაიცავს სომხეთის და მოუკიდებლობას.

უცხოეთის ამბები
ჟურნალ გაზეთებიდან.

ვილსონის მდგომარეობა.

კაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ვილსონის მდგომარეობას გუმჯობესება დაეტყო.

ადელინა პატტი.

საკუთარ ციხე-დარბაზში, ელსში, გარდაიცვალა ადელინა პატტი 76 წლისა.

პოლონეთი და იტალია.

ლუკატტი დანიშნულია თავმჯდომარედ ვარშავაში ახლად დაარსებულ საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად აქვს პოლონეთსა და იტალიის ურთიერთობა გაამტკიცოს.

პოლონეთის მანქანების დაბრუნება.

ვარშავიდან ბერლინს გაემგზავრა პოლონური კომისია, რომელმაც გერმანიისგან უნდა ჩაიბაროს ომის დროს წარტაცებული მანქანები.

დეპეშები

(საქართველოს დეპ. სააგენ.).

ივნისობისთვის 20.

მოსკოვი. ოქტომბრის 20. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

იარონ. ოქტომბრის 19. გერმანიისა და ნეიტრალ ქვეყნებისთვის გაგზავნილმა მოკავშირეთა ნოტამ საბჭოთა რუსეთის ბლოკადის შესახებ არა ჩვეულებრივი პროტესტი გამოიწვია საფრანგეთის სოციალისტების და ინგლისის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით. ამ ორ ქვეყნის მუშათა ძალიერებს საფრანგეთის და ინგლისის მუშათა აღშფოთებასა. რამდენიმე ხნის წინათ ლოიდ-ჯორჯი ამბობდა, რომ მომავალისთვის ინგლისის მთავრობამ ხელი აიღო ყველიფერ ავანტიურის წარმოებაზე რუსეთში. ნამდვილად კი ისეთი ავანტიურას, როგორც დღეს ჩანს, არა დროს არა ჰქონია ადგილი. ამერიკული რადიო ადვილ შესაძლებლად სთვლის, რომ პროტესტის გამოსაცხადებლად მუშები პირდაპირ ძალას მიმართავენ

ნაუენი, ოქტომბრის 18. შვეიცარიის სოციალისტური გაზეთი იუწყება სარწმუნო წყაროებიდან, რომ შვეიცარიაში რუსეთის რეკოლიუციის წლის თავის დღეს 7 ნოემბერს რევოლიუციონურ გამოსვლებს აპირებენ შემდეგის პროგრამით: რევოლიუციონურ მუშათა საბჭოების დაარსება, ბურჟუაზიის განიარაღება, ბურჟუაზიულ პარლამენტის დაშლა, ბურჟუაზიულ მთავრობის გადაყენება და მთელი ძალა-უფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლა.

სარატოვი, ოქტომბრის 19. როსტოვის გაზეთი „პრიაზოვსკ ს კრაი“ ქალაქის უფროსმა 5000 მანეთი დააჯარიმა დონის მეზეიკების დესერების რეზოლიუციის დაბეჭდვის გამო, სადაც ლაპარაკი იყო ბოლშევიკების და საბჭოთა მთავრობის მარის დაჭრის შესახებ.

ტვერი, ოქტომბრის 19. ფრონტზე კომუნისტები გაიგზავნა. გაწვიულებმა ფიცი დასდეს, რომ ან გაიმარჯვებენ, ან დაიხოცებიან გადამწყვეტ ომში. კარგად მოდის მობილიზაცია ახალგაზდებისა, განსაკუთრებით მუშათა რაიონებში. ბევრი თავისი ნებით ეწერება,

ნოვგოროდი. ოქტ. 19. ნოვგოროდის რ. კ. პარტიის ორგანიზაციამ გამოყო თავის ერთი ნაწილი და პეტროგრადის დასაცავად გაგზავნა. ახალგაზრდათა კავშირმა სამხედრო ვარჯიშობა დაიწყო. ამათში მრავალი ახალგაზრდა ქალი ჩაეწერა.

სმოლენსკი. ოქტ. 19. მინსკის ოლქის უფროსმა განაცხადა, რომ ბელორუსიაში სახელმწიფო ენად პოლონური ენა ცხადდება. დაწესებულებებში საქმის წარმოება პოლონურ ენაზე იქნება. ის მოხელეები, რომლებმაც არ იციან პოლონური ენა, სამსახურიდან დათხოვნილი იქნებიან.

სმოლენსკი. ოქტ. 19. მინსკში გამოცხადდა დადგენილება, რომლის ძალით ბინების მეპატრონენი, სადაც რეკვიზიციის ან სხვა გარემოებით არის ლხვისი ავეჯი, მოვალენი არიან ჯარიმის ან დაპერის მუქარით ამის შესახებ განაცხადონ. ამის გამო ბურჟუაზიას მუშებისაგან და ქალ. ღარიბ მცხოვრებთაგან მიაქვთ რაც საუკეთესოა, რადგან ამ ნივთებს ნაცარცვად აცხადებენ.

პეტროგრადი. ოქტ. 19. ზინოვიევი სწერს: „პეტროგრადი ჩვენი იქნება. ეს ეხლა სრულიად ნათელია. მტერს უნდოდა პეტროგრადის მუშები შეეშინებია. მტერმა იცოდა, რომ ჩვენ სამხრეთ ფრონტზე საუკეთესო ძალებს გავგზავნიდით და თეთრ-გვარდიელთა ბრბომ, რომელსაც იუდენიჩი ხელმძღვანელობდა, როგორც სჩანს, მიიღო დენიკინის ბრძანება და გვიტევენ.

საკითხი იმაშია, თუ როგორ უყურებს ამ თავდასხმას პეტროგრადის მეშები, თუ პეტროგრადის მუშები გულგრილობას და ბოღლილობას გამოიჩენდნენ, თუ მუშებს რაღაც დაეტყობოდათ, მაშინ ოფიცერთა გეგმა განხორციელდებოდა, მაგრამ საქმე სხვანაირად წავიდა პეტროგრადის მუშები არ იქნებიან პეტროგრადის მუშები, თუ ასეთ დროს მათ რაღაც დაიწყეს. როძიანკოს მუქარამ პეტროგრადის მუშების და მუშა ქალების ენერგია გააათკეცა. მტკიცე გადაწყვეტილება—იბრძოლონ ბოლომდის—აი რა იყო პეტროგრადის მუშების პასუხი და ეს გადასწყვეტს საქმეს. გადაწყდა იბრძოლონ პეტროგრადის შიგნით, დაიცვან ის იმ შემთხვევაში, თუ მის კიდლებში მტერი შემოიჭრება. ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს გადაწყვეტილება შეუუნებელმა მდაბიო მოქალაქეებმა ისე ახსნეს, როგორც უიმედო მდგომარეობის მაჩვენებელი, როგორც ნიშანი იმისა, ვითომ პეტროგრადის დაცვა ქალაქს გარედ შეუძლებელი იყო.

მოსკოვი. ოქტ. 20. პეტროგრადს საფრთხე აღარ მოელის და ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი შვებას იგრძნობს ამის გამო. პეტროგრადი ჩვენი იქნება.

ხაზხედრო ცნობა. ოქტ. 29. არხანგელისკენ არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კრასნოე სელოს ჩრდილოეთით 10 ვერსზე ბრძოლებია. ლიგის რაიონში ვინდავის რკ. გზ. სად. ბატეცკაიასთან მკაცრი ბრძოლაა, რომლის შედეგი ცვლილებადა; აქ ხელთ ვიგდეთ 2 ტყვე ისმფრქვეველი. პსკოვის დასავლეთით მკაცრა ბრძოლა გრძელდება ლეპელის რაიონში წითელი ჯარი წინსვლას განაგრძობს და წამოიყვანა ტყვეები, ხელთ იგდო 8 ტყვიის მფრქვეველი და ტრანსპორტი. მკაცრი ბრძოლის შემდეგ კიევი დავტოვეთ. კიევთან ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა მრავალი ტყვე წამოიყვანა და რამდენიმე მატარებელი საავიაციო ქონება წამოიღო, 2 ჯავშნიანი მატარებელი და ზარბაზნების ყუმბარები და სხვა მოწყობილობა ჩერნიგოვზე ჩვენი შეტევა მარჯვედ ვითარდება. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სევსკი აიღო და მოწინააღმდეგე ჩრდილო აღმოსავლეთისკენ, უკუ აგდო. კრომის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ოკაზე გადავიდა და შეტევას განაგრძობს. ჩვენმა ჯარმა ნოვო-სილი აიღო და მარჯვედ ანვითარებს შეტევას ლივნისკენ ელეცის მიმართულებით ორონეჟ ს ღმოსავ. 10 ვერსზე წითელი ცხენოსანი ჯარი მარჯვედ იბრძვის. ქვემო ხოპერზე მკაცრი ბრძოლაა. ზუტ-მედვედიცის რაიონში ბრძოლის შემდეგ ცვლილებადა, აქ ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე დევნა დაიზარალა ტყვეები, წამოიყვანა და ხელთ იგდო 10 ტყვის მფრქვეველი. ცარიცინისკენ არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ორენბურგის და ურალსკის რაიონებში მზვერავთა მოქმედებაა. ტაშკენტის წითელი ჯარის ჯავუფმა კრასნოვოდსკისკენ ქ. ყიზილარვადი აიღო. წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო დავლა. კურგანის რაიონში ჩვენმა ჯარმა ზვერინო-გოლოვსკიას აღმოსავლეთით 85 ვერსით წინ წაიწია, წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო ექვსი ტყვიის მფრქვეველი რკინის გზის მიმართულებით ბრძოლები ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. იალუტოროვსკის რაიონში იშიმის რკინის გზის გასწვრივ ჩვენი შეტევა ვითარდება.

№ ის არმიის შტაბი. ოქტ 20. აქ მოსული სარწმუნო ცნობების თანახმად, ჩვენმა ჯარმა ორიოლი დაიპყრა.

ნაუენი. ოქტ. 19 ლორენში 5300 მუშაა გაფიცული, მათ ხელფასის მომატება მოითხოვეს. საფრანგეთის მთავრობა ჯერ დათმობაზე არ მიდის გაფიცულებს მეცის მუშები შეუერთდნენ. საფრანგეთის მთავრობა გაფიცულების წინააღმდეგ შეარაღებული ძალებით გამოდის. ნუშებსა და ჯარისკაცებს შორის შეტაკება მოხდა მრავალი მუშა მძიმედ დაიჭირა. მილჰაუზში ბრძოლა ფრანგების ან სხვა გარეშეთა ჯარიმის ან დაპერის მუქარით ამის შესახებ განაცხადონ. ამის გამო ბურჟუაზიას მუშებისაგან და ქალ. ღარიბ მცხოვრებთაგან მიაქვთ რაც საუკეთესოა, რადგან ამ ნივთებს ნაცარცვად აცხადებენ.

პეტროგრადი. ოქტ. 19. ზინოვიევი სწერს: „პეტროგრადი ჩვენი იქნება. ეს ეხლა სრულიად ნათელია. მტერს უნდოდა პეტროგრადის მუშები შეეშინებია. მტერმა იცოდა, რომ ჩვენ სამხრეთ ფრონტზე საუკეთესო ძალებს გავგზავნიდით და თეთრ-გვარდიელთა ბრბომ, რომელსაც იუდენიჩი ხელმძღვანელობდა, როგორც სჩანს, მიიღო დენიკინის ბრძანება და გვიტევენ.

საკითხი იმაშია, თუ როგორ უყურებს ამ თავდასხმას პეტროგრადის მეშები, თუ პეტროგრადის მუშები გულგრილობას და ბოღლილობას გამოიჩენდნენ, თუ მუშებს რაღაც დაეტყობოდათ, მაშინ ოფიცერთა გეგმა განხორციელდებოდა, მაგრამ საქმე სხვანაირად წავიდა პეტროგრადის მუშები არ იქნებიან პეტროგრადის მუშები, თუ ასეთ დროს მათ რაღაც დაიწყეს. როძიანკოს მუქარამ პეტროგრადის მუშების და მუშა ქალების ენერგია გააათკეცა. მტკიცე გადაწყვეტილება—იბრძოლონ ბოლომდის—აი რა იყო პეტროგრადის მუშების პასუხი და ეს გადასწყვეტს საქმეს. გადაწყდა იბრძოლონ პეტროგრადის შიგნით, დაიცვან ის იმ შემთხვევაში, თუ მის კიდლებში მტერი შემოიჭრება. ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს გადაწყვეტილება შეუუნებელმა მდაბიო მოქალაქეებმა ისე ახსნეს, როგორც უიმედო მდგომარეობის მაჩვენებელი, როგორც ნიშანი იმისა, ვითომ პეტროგრადის დაცვა ქალაქს გარედ შეუძლებელი იყო.

მოსკოვი. ოქტ. 20. პეტროგრადს საფრთხე აღარ მოელის და ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი შვებას იგრძნობს ამის გამო. პეტროგრადი ჩვენი იქნება.

ხაზხედრო ცნობა. ოქტ. 29. არხანგელისკენ არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კრასნოე სელოს ჩრდილოეთით 10 ვერსზე ბრძოლებია. ლიგის რაიონში ვინდავის რკ. გზ. სად. ბატეცკაიასთან მკაცრი ბრძოლაა, რომლის შედეგი ცვლებადა; აქ ხელთ ვიგდეთ 2 ტყვე ისმფრქვეველი. პსკოვის დასავლეთით მკაცრა ბრძოლა გრძელდება ლეპელის რაიონში წითელი ჯარი წინსვლას განაგრძობს და წამოიყვანა ტყვეები, ხელთ იგდო 8 ტყვიის მფრქვეველი და ტრანსპორტი. მკაცრი ბრძოლის შემდეგ კიევი დავტოვეთ. კიევთან ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა მრავალი ტყვე წამოიყვანა და რამდენიმე მატარებელი საავიაციო ქონება წამოიღო, 2 ჯავშნიანი მატარებელი და ზარბაზნების ყუმბარები და სხვა მოწყობილობა ჩერნიგოვზე ჩვენი შეტევა მარჯვედ ვითარდება. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სევსკი აიღო და მოწინააღმდეგე ჩრდილო აღმოსავლეთისკენ, უკუ აგდო. კრომის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ოკაზე გადავიდა და შეტევას განაგრძობს. ჩვენმა ჯარმა ნოვო-სილი აიღო და მარჯვედ ანვითარებს შეტევას ლივნისკენ ელეცის მიმართულებით ორონეჟ ს ღმოსავ. 10 ვერსზე წითელი ცხენოსანი ჯარი მარჯვედ იბრძვის. ქვემო ხოპერზე მკაცრი ბრძოლაა. ზუტ-მედვედიცის რაიონში ბრძოლის შემდეგ ცვლ

შემდგომ, 15 აპრილს ანმა 1919 წ. დამფუძნებელმა კრებამ ქიილო შემდეგი დეკრეტი:

1. დროებით აიკრძალოს ქალაქის ფარგლებში მდებარე დაუსახლებელ ადგილ-მამულების ხელისუფლებისთვის საკუთრებად გადაცემა, დაგირავება და აგრეთვე იჯარით გაცემა ერთი წლის წესი ვადით ღღიდან ამ დეკრეტის მიღებისა.

2. დასახლებულ ადგილ-მამულად, რომელიც ამ შეზღუდვისაგან თავისუფალია, ითვლება ყოველი მიწა, რაზე დაც ამ დეკრეტის გამოცემამდე, სახლი, ქარხანა, ან სხვა შენობა იყო და აგრეთვე ტერიტორია ამ შენობის გარშემო საერთო სივრცით არა უმეტეს ერთის დესეტინისა". მაშასადამე, მმართველ წრეებმა გარკვეულად დაიყენეს აგრარული კითხვა ქალაქებისათვის. ჯერ სყიდვა-გაყიდვის აკრძალვა, შემდგომ ნორმის შემუშავება და უსასყიდლოთ ჩამორთმევა. ასე იყო სოფლის მიწებზე. ამ იგივე იწყება აქაც მალე საქალაქო მიწების ჩამორთმევის საკითხი უფრო რეალურად დადგა. თბილისის ქალაქის გამგეობამ ამის შესახებ ვრცელი პროექტიც შეიმუშავა. ეს პროექტი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ქალაქის განგეობას მის განკარგულებაში მყოფი „მიწის ფონდის სიმცირე უსპობს საშვალებას ქალაქებს განავითარონ ფართე მუნიციპალური პოლიტიკა". ამიტომ საჭიროა მიწების ჩამორთმევა, რასაკვირველია სოციალისტურადაც უსასყიდლოთ. მათ ნორმაც გამოიმუშავეს. ცენტრისთვის 400 კვადრატი საჟენი, ცენტრის ირგვლივ რკალში 600 კ. ს. გაუშენებელ გარე უბნებში—1200 კვ. საჟენი.

წარმოიდგინეთ ეხლა პატარა ქალაქების მდგომარეობა. ისინი ქალაქებია, როდესაც ირჩევენ ქალაქის თავს და იხდიან გადასახადებს, ისინი არ არიან ქალაქი, როდესაც მათზე უნდათ ავაცრელონ მიწის დეკრეტი. ხომ შესაძლებელი იყო, რომ ეხლა ისინი ხელახლა გახდებოდენ ქალაქად, თუმცა მათ „მაჯანა არ აქვთ" და მათზე გავრცელდებოდა საქალაქო მიწებზე შემოღებული კანონი? თუ უმჯობნოთ ამას არ ინებებდა მიწად-მოქმედების მინისტრი, ხომ შეიძლებოდა ამ მიჯნების ეხლა უკვე დაჩქარებთ შემოღება? თბილისი თავის დაუსახლებელ გარეშე უბნებისთვის ნორმისა რომ იმუშავებდა, არამც თუ ეს ნორმა, არამედ სამჯერ ამაზე მეტი ნორმა რომ შეჩოვილოთ დასახლებულ პატარა ქალაქებისათვის, ხომ უნდა ამომწყდარიყო შიმშილით ეს ძალით გამოქალაქებული მცხოვრებნი? როგორც აღინიშნეთ, ამ პატარა ქალაქების მცხოვრებთათვის მიწად მოქმედება უმთავრესი ა[illegible]ობ ს წყარო, და მათთვის 1200 კვ. საჟენის ან დესეტინიანი ნორმის შემოღება, მათ სიმშილით ამოწყვეტას მოა წავებს.

ყოველივე ამის შემდგომ ნუ გეგონებოდეთ თუ ამ პატარა ქალაქების მცხოვრებნი ასე ერთსულოვნად გადუდგენ ქალაქის მმართველობას და მ. ს „ფართე მუნიციპალურ პოლიტიკას".

26 მაისს სამტრედიაში მოხდა მოქალაქეთა კრება, რომელმაც მიიღო, შემდგომი თხოვნა მთავრობისადმი: „გთხოვთ, 1. ვინაიდან სამტრედია საკანონმდებლო გზით არ არის ქალაქად ცნობილი ჯერ-ჯერობით ის ქალაქად არ სცნოთ და არ დაამტკიცოთ. 2. გაუქმებულ იქნას მასში ქალაქის თვითმართველობა და შემოღებულ იქნას წვრილი სათემო საერობო მმართველობა. 3. მიეცეს ბაზრის მცხოვრებთ იყოლიონ ბაზრისა და ვაჭართა დეპუტატები, რომლებიც გაუძღვებიან ბაზრის განსაკუთრებულ საქმეებს. 4. დღეს არსებული საქალაქო თვითმმართველობის ავეჯი, ქონება და სხვა ინვენტარი გადაეცეს [illegible]ის საერობო გამგეობას. ასეთივეა თითქმის სიტყვა სიტყვით, ამის შემდგომ ხონში და სხვა ქალაქებში გამოტანილი დადგენილებანი. დამახასიათებელია, რომ ამ დადგენილებას ხალხი იღებს ერთსულოვნად, განურჩევლად პარტიული მიმართულებისა. ისიც დამახასიათებელია, რომ ყოველგან გამოდიან დაინტერესებული პირები და ხალხს ერთსა და იმავეს უსაყვედურებენ: თქვენ ანარქიას ქმნით, თქვენ კონტრ-რევოლიუციონერები ხართო და სხვ. ამას აღნიშნავს სამტრედია თავის მოხსენებაში, მაგრამ ამან უფრო მწვავე ხასიათი მიიღო ხონში.

ხონში მუშაობა ამ საგანზე იკნისი დან დაწყებულა. პირველი კრება მოხდარა ივანდიდში სადაც თვით ქალაქის თავი ყოფილა მიპატიჟებული ავ. მჯდომარედ. (ჭავჭანიძე ადგილიდან: რამდენი კაცი დაესწრო? კ. დია—არ დაგვითვლია). ამ კრებას გამოუჯანია დადგენილება შეესახებ საქალაქო მმართველობის გაუქმებისა და ხალხის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობა გაუგზავნიათ მთავრობისათვის ბ. ბ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურეებიც უნდა გაყვეთ მთავრობასო. (პირადათ მისთვის უთქვამთ?) ასეთმა მაგმა მოქმედებამ ბოლო ხანებში უფრო ფართე ხასიათი მიიღო. 19 მარიამობისთვეს ინიციატორთა შემწეობით მოახდინეს ბაზარში მთელი საზოგადოების კრება, სადაც შეურაცყოფა მიაყენეს გამგეობის წევრს ილია რუხაძეს, სცემეს თვითმ მსახურს და მოუწოდებდენ ხალხს—თვითმმართველობის მსახურთა დასახოცად და დაწესებულების დასამტვრევად. რომ სისრულეში ეოყოფანათ მათ თავიანთი განზრახვა, 24 მარიამობისთვეს გადაწყეტეს გაემართათ კრება. მე მივიღე რა ეს მხედველობაში, იმ წამსვე—პირდაპირი მავთულით შეგატყობინეთ თქვენ ადმინისტრაციის წარმომადგენელს, მოგეშველებინათ 24 აგვისტოსთვის ძალები ქუთაისიდან, რადგან ადგილობრივი ძალებით არ ძალეოდა ჩ გვექრო მათი გამოსვლები. როგორც მოგეხსენებათ, თქვენ მაშინვე ინებეთ განკარგულება, გამოგზავნეთ ძალა ქუთაისიდან და ეცადეს ამის გამო ადგილი არ ჰქონდა. ასეთი გამოსვლების ინიციატორებათ, როგორც მე მაქვს გამოკვლეული, მიმაჩნია შემდეგი პირები: (ჩამოთვლილია იგივე პირები.)

ილია ზოსიმეს ძე რუხაძე ხონის ქალაქ. გამგ. წევრი:

19 აგვისტოს ამა წლის ქ. ხონში ეკლესიის მოედანზე საღამო ხანს შეკრებილი იყო 200 დე ქალი და კაცი. ზარის ხმაზე, რომელიც მოუწოდებდა კიდევ ხალხს, მეც წავედი მოედნისაკენ. იქ მისვლისას მე გავიგონე, რომ ერთი ხონელთაგანი სახელდობრ ნიკო ჭავჭანიძე ეუბნებოდა იმ ჯგუფს, რომელიც იყო მასთან ახლო, რომ ქალაქმა დააწესა ბევრი ბაღასახადი და ჩენ ამას ვერ ავიტანთო. ამაზე მე ხალხს მივეცი შესაფერი განმარტება. ამ დროს ჩემთან მოვიდა რამდენიმე პირები, რომლებმაც ხონში განმცხადეს, რომ რაღაც ქაღალდზე **მაწერინებს** ხელს, მგონი კოლია წულუკიძის განთავისუფლება უნდა ხალხს და ეს იმისი ქაღალდი უნდა იყოსო. მე, მართლაც დავინტერესდი, მინდოდა გამეგო თუ რა იყო ის ქაღალდი, რომელზედაც ხალხს აწერინებდენ ხელს. როდესაც მივედი იმ ადგილას, სადაც ხალხს ხელს აწერინებდენ, მე ვნახე ქაღალდი მაგიდაზე. იქვე ახლო იყვნენ ანტონ და ევგენი სიმონისძე ბახტაძეები. როდესაც მე ვნახე ქაღალდი შევიტ ჩნიე რომ დასაწყისი ამ ქაღალდის იყო ცარილი (ტექსტ) ქვევით კი იყო გვარი და სახელი ხელის მოსაწერლების. ჩემა შენიშვნაზე, რატომ ტექსტი ქაღალდზე აწერინებთ ხელს ხალხსაო, ერთმა იქ მყოფმა მოქალაქემ (გვარი არ მახსოვს) მიპასუხა; რომ ტექსტი აქვს შენახული ანტონ სიმონისძე ბახტაძესო. როდესაც მე მივმართე ამ უკანასკნელს, მან მითხრა თუ გინდა ახლავე მე თვითონ დავსწერ ტექსტს იმისა, რომ ჩვენ ქალაქი არ გვინდაო. ბოლოს კი მითხრა—ტექსტი აქვს ჩვენს ვექილსო. ვფიქრობ რომ მას სახელში ჰქონდა ლუკა ლუკასძე ბახტაძე. ამის შემდგომ ანტონ ბახტაძე ავიდა იქვე აივანზე და მიმართა ხალხს: „საზოგადოებავ, რუხაძე ქაღალდს ხევსო.“ ამ მიმართვის დროს იქვე იყო ახლო **ანტონის ძმა ევგენი, რომელმაც დაიძახა დაჭკარით მაგასო“** და რომ იქ არ იყოფილიყო დათა ჭავჭანიძე, მე ხელით შეურაცყოფას მომაყენებდენ ხსენებული ევგენი ბახტაძე. ამ ამაის შემდეგ მეორე ჯგუფისკენ მოდიოდა გერასიმე პეტრესძე ზელაძე, რომელმაც დაინახა თვითმმართველობის დარაჯი გიორგი ტაბიძე. როდესაც ამ უკანასკნელმა **შემჩნევა** მისცა (რასახით?) ზელაძეს, რომ ის ყვირიდა, ზელაძემ სცემა ტაბიძეს.

ჩემის ღრმა რწმენით, ასეთი გამოსვლა არის ვითომდა მიმართული იმდენათ ქალაქის თვითმართვ. წინააღმდეგ, მართლა კი ისინი არ არიან კმაყოფილნ არსებითი წესწყობილებით და ეძიებენ სხვა და სხვა მიზეზებს. მით უფროა ეს მისაღები მხედველობაში, რომ ინიციატორები ასეთი გამოსვლების არიან აშკარა რეაქციონერები, რომლებსაც სულ არაფერი არ სწამთ არსებული წესწყობილების. ერთი ასეთი ინიციატორთაგანია როგორც ლუკა ბახტაძე, რომელმაც თავისი ნებით გაიტანა პარტები ქალაქის სკოლისაგან, რადგან შენობა ეკუთვნის მას, მეუბნებოდა, რომ მალე ყველა თქვენ წახვალთ! აქედანო“ უმთავრესი მამფორია ფალავას კალენდა ძიებაში არის ეს ორი ჩვენება. მათ დაუკითხავთ კიდევ ერთი ქალაქის გამგეობის წევრი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე. ისინიც სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ამათ ჩვენებას. რო

დესაც კონტრ-რევოლიუციონერებს ჩამოთვლიან, წარმოიდგინეთ იმ რვაკაცს ყველა ერთი რიგით ასახელებს. თითქოს ყველას ერთი წყაროდან გადაეწეროსთ. მაშასადამე მთელი „კვლევა-ძიება“ გამოიხატა იმაში, რომ ჩამოართვეს ჩვენება დაინტერესებულს პირებს, რომლებმაც ქუთაისიდან ჯარები გამოიწვიეს ხონის მოქალაქეთა წინააღმდეგ. ცხადია, როგორი უნდა ყოფილიყო მათი ჩვენება. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქალაქის თავის ამხანაგის რუხაძის ჩვენება, ნუ თუ შეიძლება თუნდაც ერთი ოლიის ოდენა ნდობა ვიქონიოთ ამ ჩვენებისადმი? თქვენ ეახსოვთ, როგორია ის. ბ-ნი რუხაძე ხონელია.—მაგრამ მასთან მოდიან ჯგუფები, ვერავის სცნობს, თუ რსინი მას იმ ეუბნებიან, რაც დაჭერილ თავის სახიანია. მისი ჩვენებით 70 წლის მოხუცი მას გალახავს უპირებს, შემდეგ სრულიად უმიზეზოდ, მოულოდნელად აივანზე ავა და იქიდან უყვირის ხალხს: დაჭკრით მაგასო და სხვ. მილიციის უფროსი კი იქვე არის კრებაზე. რასაკვირველია მილიციის უფროსის ჩვენება, როგორც მთელი დამსწრე ხალხის ჩვენება, სულ სხვა ხასიათისაა.

ამ ქალაქის მესვეურთა გარდა დაუკითხავთ გვარდიის შტაბის უფროსი და სოც. დემ. იერარქიის თავმჯდომარე. ამათი ჩვენება შეხვატკბილებულია. დაუკითხავთ კიდევ რამოდენიმე გარეშე პირისათვის და ხუთიოდე უბრალო მოქალაქეთათვის. (სოც. დემ. სკამებიდან: რას ნიშნავს უბრალო მოქალაქე?) ასათიანი—უბრალო მოქალაქეები ნიშნავს ისეთი მოქალაქეებს, რომელნიც არც ქალაქის თავია, არც შტაბის უფროსი და არც სოციალ-დემოკრატიულ იერარქიის თავმჯდომარე. ამ მოქალაქეთ რა აჩენეს არ ვიცი, ვინაიდან მათი ჩვენება თითო ოროლა სტრიქონით არის გამოხატული და დაპატიმრებულთა როლზე ხონის ამბებში არავითარ პასუხს არ იძლევა. მე არ ვიცი არაფერი აჩენეს მათ, თუ ჩაწერის დროს გამიარჩათ. მე თვითონ ჩავწერე ხონში ყოფნის დროს რა აჩვენეს მათ მომფორიამ. ეს ჩვენება დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ქალაქ ს თავების ჩვენებას და „კვლევა ძიებაში“ რომ მოეთავსებინათ, რასაკვირველია, მოხერხებული არ იქნებოდა.

ამათ ჩვენების შესახებ ოქმი არაფერს გვეუბნება, ხოლო მამფორია გამოსულა ხალხში, გამოუცხადებია აწი დაკითხვა შეჩერებულია, ვინაიდან ყველაფერი საკმაოდ გამოირკვა და დაკანონებულნი დ უყოვნებლივ დაბრუნებული იქნებიან ხონშიო. მ მწამს რომ დაკითხვის შემდეგ მამფორია ასე ჰფიქრობდა. ხოლო წავიდა ქუთაისში და იქ დასწერა, თუ დაიწერინეს, მე არ ვიცი ის მოხსენება, როელიც მე აქ წავიკითხე, და რომელიც მეტად საგაზეთო სტილითაც არის დაწერილი. შეიძლება ბ-ნმა მამფორიამ ეს მოხსენებაც „ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით“ შეადგინა. აი, ბ.ბ. ის საბუთები, რომელზედაც ასეთი რიხით ლაპარაკობს ბ-ნი მინისტრის ამხანაგი. ამ საბუთების მიხედვით ყოველი მიუდგომელი ადმინისტრატორი სამართალში მისცემდა იმ პირებს, ვინც ხონიდან გამოგზავნილი ყალბი მოხსენებებით ჯარები გაიწვიეს და შეეწნეს ისეთი სულიერი განწყობილება საზოგადოებაში, რომ სულ უბრალო რამეზე მოსალოდნელი იყო მართლაც და არეული ბის და სისხლის ღვრის ატეხა. მაგრამ იქნებ თქვენ გსურთ ერწმუნოთ ბ. რუხაძის ჩვენებას? მაშინ სამართალში უნდა მიგეცათ ის პირები, ვინც მისი სიტყვით ხალხის კრებას პოგრომისაკენ მოუწოდებდა. ასეთი ბოროტმოქმედებისათვის უფრო მძიმე სასჯელი არ იქნებოდა ვიდრე ადმინისტრატიული დაპატიმრება? რად არ ძალევთ ამ პირებს სამართალში? (ხმები სოც.-დემ. სკამებიდან: იქნებ მისცეს სამართალში, ხმაურობა).

ასათიანი: არა, ბ. ბ., არ მოუკიათ სამართალში და ვერც მისცემთ, ვინაიდან თქვენ გეშინიანთ სამართლისა. (ეროვნ.-დემ. სკამებიდან ტაში). თქვენ კარგად იცით, რომ სამართალში მიცემას თან დასდევს საქმის გამოძიება. გამოძიება კი დაადასტურებს იმას, რასაც ღღეს მთელი ხონის საზოგადოება ერთსულოვნად ამბობს და დამნაშავის სკამებზე ნაცვლად დაპატიმრებულებისა თქვენი ბობოლა მიღვაწეები დაბრძანდებიან. მინისტრის საბუთების შესაბამად ბ-ნი ჭავჭანიძე იყო ხონში გაგზავნილი რა საბუთები მოგვიტანა მან? მისი დასაბუთება იმაში მდგომარეობდა, რომ ის მთელი საათი ეკამათა მართველებს, რომელსაც „საქართველოში“ ჰქონდა წერილი მოთავსებული. პარტიელები არ სწერს მართალსო და სხ. დავიჯეროთ, რომ ეს ასეა. მერე რა შუაშია ის პირები, რომელიც საპყრობილეში სხედან? ბ-ნი ჭავჭანიძეს მათი ბრალდების დასამტკიცებლად აქ ჰორები და ინფორმაციები მოუტანია. ის არის ნამდვილი რეაქციონერი, რადგან ძველად მამასახლისი იყო, მეორე მისი თანაშემწე იყო, მესამე ნამდვილი ავაზაკია და სხ. ნუ თუ ეს არის თქვენი საბუთებ? თუ მამასახლისობა ასეთი ცოდვაა, განა ცოტა პრისტავი და ძველი პოლიციელი გყავთ ფრიად დიდს და საპატიო ადგილებზე? (ხმაურობა). ის აქ ამტკიცებდა, ბახტაძეს ის აწუხებდა, რომ ქალაქი მას სახლს ართმევდაო, ის მიწა, სადაც სახლია აშენებული, წინად საეკლესიო იყო და მეფემ აჩუქა მამა მისისაო. ეხლა მას ეს სახლი და მიწა უნდა ჩამოერთვასო. საინტერესოა ვიცოდეთ, როდის გახდით თქვენ საეკლესიო ქონების ასეთი დამცველი? (სიცილი, მარცხნივ), (ხმაურობა). თუ ეკლესიას რამე აქვს საძეგბარი, რად იწუხებთ თავს. თითონვე მოსძებნის. მეორე ჩხენკელს—კიდევ სახლის რეკვიზიცია აწუხებს. მისთვის თქვენ წაგირთმევიათ სახლი. ის უჩაღია, ავაზაკია

ეს მე არ ვიცი, ხოლო მე ვიცი სასამართლოს ეს დადგენილება (კითხულობს), რომელი დადგენილებით ამ ჩხენკელმა თქვენ სამ თვის ციხე მოგისაჯათ.

ჭ ვ ჭ ნ ი ძ ე: მე გავასაჩივრე და გამართლდი.

ასათიანი. ეს კარგი გინებებიათ და თუ შემდეგ ისტანციაში კიდევ გამართლდით, შემდგომ თითონ თქვენ უნდა ეისცეთ ჩხენკელი სამართალში და როდესაც იმას სასჯელს მიუსჯათ, როგორც ეს თქვენ ნ გიყოთ, მერმე გამოხვიდეთ აქ და ილაპარაკოთ ისეთი რიხით, როგორც ამას ღღეს შვრებოდით (ხმაურობა) ჭავჭანიძე ბრძანებს—ქალაქს არავითარი გადასახადი არ შემოუღია და რადგან ეს ასეა, მაშასადამე შეკითხვა უსაფუძვლოთ მე ეს გადასახადები ამჟამად არ მაინტერესებს. შეკითხვა სულ სხვა საკანს შეეხება. ნტატები მცირეა. 11 კაცი მუშაობს ქალაქის გამგეობაში. წინეთ მართლ სამასახლისი იყო ეს და მრავალი მათი თანაშემწე და მწერლებიო. უნდა იცოდეს ყოფილმა თავმა, რომ ქალაქის გამგეობა არ არის ამ მამასახლისების მაგიერი. მამასახლისების ნაცვლად იქნებიან კომისრები და მილიცია, ხოლო ქალაქის მოსამსახურენი ეს კიდევ ზედმეტი იქნება. ბ-ნი ჭავჭანიძე სცდილობს ხონის ამბებს პარტიული ელფერი მისცეს. ეროკნულ-დემოკრატების საქმეა ესაო ხონში. მას მოახსენებდენ ხონში, რომ ეს საჯარო კრება მოვაწყე იქ ქალაქის თავისა, ხმოსნების და მილიციის თანდასწრებით. ამ კრებაზე ქალაქის თავმა საჯაროდ დაადასტურა ჩემი სიტყვები რომ ამ საქმეში არ ყოფილა გარეული უცხო ძალების მუშაობა და არც რომელიმე პარტიას მიუღია მონაწილეობა. როგორ ენებავთ, ვის უნდა დაუჯეროთ ჩვენ—ხონელებს თუ ყოფილ თავს? (ხმაურობა. სიცილი). დაუბრუნდეთ ადმინისტრაციის მოქმედებას 6 დაპატიმრეს ეს პირები. 9 გამოძიებამ მოახდინეს. შემდგომ გაანთავისუფლეს. რამოდენიმე დღის შემდგომ ისევ დაიჭირეს. ადმინისტრაციამ ხოლოდ დანტერესებულ პირების ჩვენებას დაემყარა. არ დაკითხავთ მაზრის კომისრისაგან, (ეს დაკითხეს და საქმეებში არ არის) არ დაუკითხავთ ხონის კომისრებისათვის. მილიციის უფროსის ჩვენება ჩაწერილია რამოდენიმე სტრიქონით. მე მინდა გაიგო, როდესაც ადმინისტრაციამ დამნაშავეებს ეძებს ოუნდაც რეაქციონერებს და კონტრ-რევოლიუციონერებს, უწინარეს ყოვლისა ვის უნდა მიმართავდეს—თავის ხელ-ქვეითებს, ვისაც დაკისრებული აქვთ წესიერების დაცვა და ბოროტ-მომქმედთა დევნა, თუ იაჩეკების და შტაბების წევრებს? (სიცილი, ხმაურობა). მე მინდა შეკითხვა ეს ნაკლი გამოძიებისა. მე თქვენ გადმოგცემთ მინისტრის ხელქვეით ადმინისტრაციის აზრს ამ საქმის შესახებ. ხონის ერთი უბნის კომისარი, რომელიც თავის ჩვენებას ხელს აწერს, ასე აგვიწერს ამბავს (ხმები: დაასახელეთ, რომელი კომისარია).

ასათიანი—მე დავასახელებ ყველას გვარსა და სახელს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბ. მინისტრიდან მექნება სიტყვა, რომ ამ პირებს არავითარი რისხვა არ მოელის. (ხმები დაასახელეთ. დაასახელეთ:).

ასათიანი: ეს გახლავთ მთავარ-ანგელოზის უბნის კომისარი ყუფარაძე. ის ამბობს: მას შემდეგ, რაც ქალაქის გამგეობისაგან დარიგდა გადასახადის ფურცლები, ხალხში მრავალნაირი მითქმა-მოთქმა დაიწყო. ხალხში ამბობდენ, ჩვენ ამდენ გადასახადს ვერ ავიტანთო თუ გავჩუმდით, კიდევ მეტი დაგვდებაო და უმჯობესია ქალაქი მიეახლნასო. ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო გადასახადებს ჩვენ მას საყსებით ვღებულობთო. კრება მშვიდობიანი იყო. ხოლო ხალხში აღელვება შემოიტანა ქალაქ. თავის მოადგილის აჩქარებულმა მოქმედებამ. ვინც ეხლა დაჭრილია, ყველა მოსაწონი და საპატიო ხალხია და მათი რაიმე ცუდი არავის უნახავს. ისინი იყვენ ამორჩეული მთავრობასთან ხალხის სურვილის წარსადგენად. ხალხი მეტად უკმაყოფილოა მათი დაჭერით. არაფერი თავისუფლება არ ყოფილა რესპუბლიკაში, თუ ჩვენი თხოვნის წარდგენისათვის იჭერენ ხალხის ამორჩეულ პირებსო ისინი არაფერ ქადაგებას და აგიტაციას არ აწარმოებდენ.“ ეს არის ერთი კომისარის აზრი. ეხლა მოვისმინოთ მეორე ადმინისტრატორის აზრი.

არსენიძე: ვინ არის მაგისთანა პატიოსანი? ეს გახლავთ გოდერიძე. ის ამბობს: „ხალხი ლაპარაკობდა: ქალაქი არ გვინდაო. რაიმე მავნე ქადაგება არ ყოფილა. დაკავებული პირები სამივედო პირებია. არაფერი ცუდი არ ჩაუდენიათ. მაგათ დაჭერას ხალხი ძლიერ სწუხს“. „ეხლა მოკისმინოთ ქალაქის მთელი ადმინისტრაციის უფროსისა—ხონის მილიციის უფროსის აზრი (სოც-დემოკრატიულ სკამებზე ხმაურობა. სპ. კედია: არ გეგონათ გენა?) ეს ის პირია, რომელიც მახლობელს მონაწილეობას იღებდა კრებებში და რუხ ძ მან დაიხსნა, როდესაც თავის უტაქტობით მას ხალხი გააბრაზა. (მინისტრების სკამებიდან, რა გვარია.) ეს გახლავთ ბურჯანაძე. ეხლა მოგახსენებთ გვარს, რადგან მიღებული მაქვს დაპირება, რომ მათ არაფერი უსიამოვნება შეეხვდებათ თავის სწორი აზრის გამოთქმისთვის. ამ ჟამად ის სხვაგან არის გადაყვანილი. (ვეუაკლი რა მიზეზით?)

არა, თავის სურვილით. ის ეროვითხრობს: „ხალხში შინაურული მოლაპარაკება იყო. დიდი გადასახადები მოგველის, მოვახდინოთ კრება და ვითხოვოთ, რომ ხონი ქალაქად არ იყოს. დავესწარი კრებას. იქ იყო ქ. თავ. მოად. რუხაძეც. იქ ხელის მაწერაც იყო. რომ ვკითხეს რას აწერთ თქო, მითხრეს: არ გვინდა ხონი ქალაქად. რომ დარჩესო. მე იქვე ვიდექი. შეიქნა ხალხში ხმაურობა. არიქა ილია რუხაძემ ქაღალდები წაგვართვაო. ხალხმა ძგუვლა. მივვარდი და ტაბლი სიტყვით დავამშვიდე ხალხი, თორემ შეიძლებოდა ის დაეგლიჯათ. ილია რუხაძე სხვებს გამოვატანე, გამოვაპარე. მე კი ხალხს ვაწყნარებდი. მისი დარაჯის გაღლეა არ შემიხედაეს. ხოლო ეჭიურებოდენ კი. ის პირები ვინც დაიკავეს, არაფერს ცუდი არ ჩემინიშნავს. მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციაა არავისთვის შემიმჩნევია. ქუთაისიდან მილიცია ვინ დაიბარა არ ვიცი, ხოლო ქალაქის გამგეობაში გადმომცეს ქუთაისში შეთვლილი გვაქვს და მაზრის კომისარი და მილიცია ჩამოვაო. ჩემთან და მილიციასთან ხალხი მეტად მორჩილად იყო. ყველა ჩემს განკარგულებს ასრულებდენ“. ამ რიგად მობილიზაციას აწყობენ, შორიდან მილიციას იბარებენ და ხონის მილიციის უფროსს ამას არც კი უმხელენ. მან ეს დაბალ მოსამსახურეებისაგან გაიგო.

ვფიქრობ, რომ მიუღებელი საბუთები საკმაოდ აშუქებენ ხონის ამბებს და ზოგიერთი ქალაქის მეთაურის როლს ამ საქმეში. მე არ ვიცი ადმინისტრაცია ბრმა იარაღი გახდა ამათ ხელში, თუ შეგნებულად წავიდა ასეთს ყოვლად შეუწყნარებელ მიქმედებებზე. ხონელი მოღვაწენი კი ამ რეპრესიებიდან სულ სხვა შედეგებს მოელოდენ ალბად. ჰფიქრობდენ—შიშით განამტკიცებდენ თავის შერყეულ გავლენას. ამ ჟამად ისინი აღარ მალავენ, რომ რეპრესიებმა ცუდი ნაყოფი გამოიღეს. ხალხი სრულიად დაიშორეს. რეპრესიების საწინააღმდეგო აზრი ავიდანვე მტკიცე ყოფილა თვით ქალაქის გამგეობის წრეებში. 19 და 24 კრებების შემდგომ შემდგარა ხმოსანთა კრება ამ საგანზე. ოქმი მე ვერ ვიშოვე ხონის მოღვაწეთაგან. (ჭავჭანიძე—მე მაქვს აგერ). კეთილი, თუ შემცდარად გადმოვცე, გაბისწორეთ. ოქმის შინაარსი დეპეშით გადმომცეს ხონიდან და შინაარსი აქ მაქვს ჩაწერილი უპარტიო ხმოსნის ჩვენებით. (ხმაურობა) მრთმინება იქონიეთ. ამას მეტი ენიშვნელობა აქვს, ვინემ იმ ჭორ ბს, რომელიც თქვენ აქედან გითხრეს. „ხმოსნებმა დავადგინეთ, რომ არაფერი რეპრესიები არ ყოფილიყო მოღებული და ხალხისთვის უბან-უბან გაეცნოთ საქმის ნამდვილი ვითარება“. რა უნდა გაეცნოთ უბან უბან ხალხისთვის? უნდა გაეცნოთ შეფასებითი გადასახადის ხასიათი, ეს გადასახადი ხონის მცხოვრებთათვის ახალი იყო. წინეთ არ იცნობდენ მას. ქალაქს მესვეურებმა არაფერი ხალხს არ აუხსნეს. ისე დაარიგეს ფურცლები და გარწმუნებთ თქვენც ვერ გაიგებთ ამ ფურცლების შინაარსს წესიერად. შიდ სწერია—თქვენი ქონება ქალაქის გამგეობამ შეფასებით გადასახადისთვის შეაფასა ამდენი ათასი. იქ არაფერია ნათქვამი თუ რა პროცენტი უნდა გადაიხადოს მოქალაქემ. არის მხოლოდ ერთი ციფრი. არ არის გასაკვირველი, რომ ხალხმა ისე გაიგო, თითქოს ეს ციფრი მას უნდა გადაეხადა ქალაქისათვის. (ხმები ნუ თუ თქვენი პარტიის ხალხმა ეს არ იცოდა? რათ არ აუხსნეს?)

იქნებ ეს ზოგიერთმა სწორედ გაიგო, მაგრამ მათს მოვალეობას არ შეადგენდა სოფელ-სოფელ ჩამოვარათ და ხალხისთვის აეხსნათ გადასახადის ხასიათი. ეს თქვენი ქალაქის თავი და მისი ამხანაგების მოვალეობას შეადგენდა. ეხლა რომ ეპირებენ უბან უბან კრებების გამართვას, ცოტა გვიანაა. ეს მაშინ უნდა მოეხდინათ და ხალხისთვის ნამდვილი ვითარება აეხსნათ. და რომ ამ საქმეში მრავალი გაუგებრობასაც ჰქონდა ადგილი, ესეც აშკარაა. მე აქ ჩაწერილი მაქვს სამოცამდე სხვა და სხვა მდგომარეობისა და წრის მოქალაქეთა ჩვენება, ეაგრამ ამას თქვენ არ გაგაცნობთ, ვინაიდან ეს ჩვენებები მე მინდოდა პირადი რწმენის შესამუშავებლად ამ საგანზე. ხონიდან წამოსვლისას მოქალაქეთა კრება გავმართე, რომ მასში დამშვიდება შემეტანა და ჩემი იქ ჩასვლაც ახალი მითქმა-მოთქმის საგნად არ გამხდარიყო. კრებას დაესწრო ქალაქის თავი და მრავალი ხმოსანი მილიციელები და სხ. კრებამ მთხოვა თქვენთვის გადმომეცა მათი თხოვნა, რომელიც მათ ვერ გამოგზავნეს. ვინაიდან მათი წარმომადგენლები დაეპატიმრეს. ძათ სურვილს თქვენ უკვე იცნობთ. (ჭავჭანიძე—რამდენი კაცი დაესწრო?). მე არ დამითვლია რამდენი კაცი დაესწრო. საკმაო პლომად, თუმცა მოღებული იყო ზოგიერთი ზომა რომ ხალხი შეკრებილიყო. ნათ ოხოვნას კი, თქვენ მოგეხსენებათ, რამდენი პირი აწერს—ორი ათასამდე მოქალაქეთ აწერია ხელი.

(ჭავჭანიძე—ვინ გამოიძია ხალხმა მოაწერა, თუ არა). აგერ არის ის პეტიცია, რომლისთვის ხონში ასეთი აურ-ზაური ასტეხეთ. თქვენ შეგიძლიათ გამოიძიოთ მას ხალხმა მოაწერა ხელი თუ არა. ყოველს შემთხვევაში თქვენ ერთიც ვერ გამოგინახავთ ისეთი, რომელსაც ეთქვას—მე მომატყვილეს და შეცდომით მოვაწერე. თხოვნის შინაარსი მე არ ვიცოდი და სხ., როგორც ამას ბ. რუხაძე ჩვენებს. ასეთი ვინმე ერთი მაინც ვერ გამოძებნეთ? ხონის კრებამ დამავალა გადმოგცეთ მისი თხოვნა, რომ ეს პირები თქვენ განთავისუფლოთ. ვინაიდან მათ არაფერი დანაშაული არ მიუძღვის გარდა იმისა, რომ ხალხმა დავავალეთ ამ თხოვნის შედგენა და ხელის მოწერაო. რომ არ ეთქვათ აქ, შეიძლება დიდი ნაწილი იყო ასეთი დადგენილების წინააღმდეგი, თავმჯდომარეს კენჭი ვაყრევინე. მთელი ხალხი აღმოჩნდა ამ აზრის მომხრე და მის წინააღმდეგ არც ერთი ხელი არ აწეულა, თუმცა კრებას დაესწრო ყველა ის პირები, რომელნიც, თქვენ იცით, როგორ აშუქებდენ ამ საქმეს ბ.ბ. მე გავათავე. უკეთუ ჩემ მიერ წარმოდგენილი მასალა ამ საგანზე თქვენ დამაჯერებლად არ მიგაჩნიათ, აუცილებელი საჭიროა რომ სპეციალური კომისია გაგზავნოს დამფუძნებელმა კრებამ ყველა ფრაქციის წარმომადგენელისაგან ამ საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად. ამას მოითხოვს საქმის ინტერესი. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ისეთი შეთქმულობანი ხალხთა წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლებოდა დიდი უბედურობები გამოეწვია, დაუსჯელად არ ჩაივლის. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ დამფუძნებელი კრება ფხიზელ დარაჯად უდგია კანონიერებას და სამართალს და არ ადასტურებს მთავრობის ისეთ ნაბიჯებს, რომელნიც უსამართლო და უკანონო არიან. (ტაში ეროვ.-დემ. სკამებიდან.).

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ქუთაისში: მთავრიშვილის მაღაზიაში. თბილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგ. მაღაზიაში.

ქარიულ წერილს დედანი
ს. დათეშიძისა
2595 12—6

მ ი მ ო ს ვ ლ ა
სახალხო მატარებლებისა
ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	ღილ.	9 ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11, 12	დილ.	9 ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	56 წ.

თბილისი-სალოღელი

გადის სალოღელში

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

მოდის სალოღელიდან.

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი, გორი-ბორჯომი.

გ ა დ ი ს

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

მ ო დ ი ს:

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს 4 წ.

თბილისი-სანაინი

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო ლისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63. 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
ბ ა ბ ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვია, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3., ტელეფონის № 17 –21.

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდიანი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სასქესოებისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე **მიხეილის ქუჩა № 7** ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კეთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საქმიანი კაბინეთი
ექ. პ. სუქოელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კეთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
ბ. ბ. მეგრაგიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ფლექსისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი საღენიერი და ... ესევალის ... ით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6 9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7- 92.

ხამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფეის (914-ს და 606-მეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.